

ინფორმაცია სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირებულ გამოსაცდელთა და  
სადამკვირვებლო ორგანიზაციათა რაოდენობის შესახებ

2014 წლის 13 ოქტომბერს, 18 საათზე დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ შეადგინა - 2576.

გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია:

- "საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი"- 3 დამკვირვებლით;
- „ახალი სიტყვა“ – 5 დამკვირვებლით.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდება მიმდინარე წლის 21 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით.

გამოსაცდელი სასერტიფიკაციო გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს სარეგისტრაციო ბარათში მითითებული თარიღისა და დროის დაცვით, თან უნდა იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.